

ალილ ვარდარი

განქორწინებული ქალების კლანი

(კომედია ოთხ მოქმედებად)

თარგმანი ფრანგულიდან და ადაპტაცია: ბაჩანა ჩაბრაძე

ფრანგულენოვანი სპექტაკლი "განქორწინებული ქალების კლანი" 2017 წელს პარიზის "კომედი რეპუბლიკში" ვნახე და მისი თარგმნაც მაშინ გადავწყვიტე. იმისთვის, რომ პიესა ჩვენთან დაიდგას, მოქმედება თბილისში გადმოვიტანე. ეს თავად ავტორმა, ალილ ვარდარმა მირჩია. პიესა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაიდგა, და მოქმედება ყველგან იმ ქალაქში ხდება, სადაც იგი თამაშდება. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეს მოვარგე ფრანგულ ტექსტში მოყვანილი ალუზიები და იუმორი, და შევცვალე პერსონაჟების, ადგილების, მუსიკის, ფილმების სახელები. თუმცაღა უცვლელი რჩება პერსონაჟთა უნივერსალური ტიპები: დედნისეული ტრიო – არისტოკრატი / პროვინციელი / უცხოელი. ეს პერსონაჟები განქორწინებული ქალები არიან, რომლებიც თანაცხოვრებას გადაწყვეტენ... კომედია, საფრანგეთსა და მის გარეთ, ორ მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

პიესის ოფ. საიტი: <http://www.leclandesdivorcees.world/>

მთარგმნელი

მოქმედება ხდება თბილისში

პერსონაჟები:

სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი

"ცისფერსისხლიანი არისტოკრატი", რომელიც კაზრეთელ ფერმერ ქმარს დაშორდა და თბილისში დაბინავდა. ბინის ქირის შემცირების მიზნით, სოფიო პოულობს ორ თანამდგმურს, რომლებიც ასევე განქორწინებული ქალები აღმოჩნდებიან.

დარეჯანი

სოფლელი, ფერხორციანი ქალი (როგორც წესი, ასრულებს მამაკაცი), რომელიც ცხრა წლის წინ განქორწინდა, რადგან ქმარი "უნიტაზზე შარდის წვეთებს ტოვებდა".

მარია ტაკო

კეკლუცი უკრაინელი ქერა ქალი, რომელიც რამდენიმე მამაკაცს დაშორდა.

მოქმედება I

(ტელეფონი რეკავს. შემოდის ქალი)

სოფიო

დიახ, დიახ! სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გისმენთ? ო, შარლოტა! როგორ ხარ? აჰა, აჰა... ჩემი მესიჯი მიიღე? მორჩა, დავშორდი! აღარ შემეძლო! ხუთი წელი... ხუუუუთი წელი კაზრეთის ფერმაში და თხის ყველში! უკანმოუხედავად გამოვიქეცი! თან ხომ იცი, ფრიდონი მართლა სხვა სამყაროშია... იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ცისფერსისხლიანი ვარ. მგონია, რომ ხალხი ერთმანეთს არ უნდა შეერიოს... არამც და არამც. ჰოდა, აღარც თხები მინდა და არც გიტარაზე მომღერალი გრძელთმიანი ტიპები!.. ეგ კარგია, როცა 20 წლის ხარ, მაგრამ 30-ის?!... 30 წლისებს ფულიანი ბუნჩულა გვინდა! გართობასაც თავისი დრო აქვს და დაქორწინებასაც. რა ექნა, შეცდომა დავუშვი – იმ კაცზე ვიქორწინე, ვინც მხოლოდ გართობად ღირდა!.. მოკლედ, ხელახლა დავიბადე!.. ჰმ? რა გატირებს, შარლოტა?! ჩემს ქორწილშიც მარია მაგდალინელივით ზღუქუნებდი. ახლა ჩემს განქორწინებაზეც ნუ დაიწყებ!.. მისმინე, ტელეფონზე დიდხანს ვერ დავრჩები, მომავალი თანამდგმურების ზარებს ველოდები... კი, მართალია, "რა იცი, ვინ შემოგისახლდება", მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, თბილისში ქირა ისეთი ძვირია... იცი, რა ვიფიქრე? ვინც პირველი წარმოთქვამს ჩემს გვარს უშეცდომოდ, ავიყვან!.. ჰა ჰა, სასაცილოა, არა?.. აჰ! შარლოტა, ორმაგი ზარი მაქვს! დაგირეკავ, გენაცვალე... პაჩი-პუჩები... კი, კი, დაგირეკავ... პაჩი-პუჩები... კი, მოგიყვები... გკოცნი... კარგი, დაკიდე ახლა!

სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გისმენთ! გამარჯობა, ქალბატონო... დიახ, რა თქმა უნდა, ჩემი განცხადებაა... როგორ? ამ უბანში ხართ? მაშინ იქნებ მობრძანდეთ? მარტოხელაშვილის 3, მე-2 სართული... მშვენიერია, გელოდებით... ახლავე... დიახ, დროებით, ქალბატონო.

(ტელეფონი ისევ რეკავს)

სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გისმენთ! ო, ღმერთო ჩემო, რა არის ეს?... რა აქცენტით ლაპარაკობთ! ბოდიში? განტსკადიბა?... "განტსკადიბა" მე არ ვიცი არ არის... აჰ, გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ?!!! აა, ვერ გავიგე! რა აქცენტი გაქვთ! რა გქვიათ? ქალბატონი... თაკო? აჰ, ბოდიში!.. დაკო? არც ეგ?!.. ტაკო?? რა? ტაკო თქვენი გვარია?? და სახელი? მარია, გასაგებია. მისამართს ჩაიწერთ? : მარტოხელაშვილის 3, მე-2 სართული... არა, არა, არა, არა... *(იმეორებს თანამოსაუბრის აქცენტით)* მ ა რ ტ ო კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი... ძალიან კარგი, გელოდებით... დროებით, ქალბატონო ტრა... ტაკო! კი, გავიგე... დროებით!

(კარზე აკაკუნებენ)

სოფიო

შემოდით, ღიაა... *(ამჩნევს, რომ ყელსაბამი არ უბნევია)* ახლავე მოვალ! *(გადის)*

დარეჯანი

ოჰოო, ღამაზია აქაურობა! *(სოფიოს ზურგს აქცევს)*

სოფიო *(შემოდის)*

უკაცრავად!

დარეჯანი *(სოფიოსკენ ტრიალდება)*

არა უშავს!

(სოფიო კივის დარეჯანის დანახვაზე)

დარეჯანი

ბინის სანახავად მოვედი. სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი თქვენ ხართ?

სოფიო

დიახ!.. პირველი ხართ, ვინც ჩემს გვარს უშეცდომოდ წარმოთქვამთ!..

დარეჯანი *(როხროხით იცინის)*

ესე იგი, ეს ბინაა!

სოფიო

დიახ...

დარეჯანი

ესე იგი თანამდგმურს ეძებთ?

სოფიო

დიახ...

დარეჯანი

იმედია, ეს თანამდგმური მე ვიქნები!

სოფიო *(შემცბარი)*

დიახ...

დარეჯანი

სულ თბილისში ცხოვრობდით?

სოფიო

კი... არა! კი! არა! მოკლედ, იმის თქმა მინდა... რომ კი! თუმცა არა!

დარეჯანი

დამშვიდდით! კი თუ არა?

სოფიო

ანუ... ბოლო 5 წელი კაზრეთში გავატარე და სიმართლე რომ გითხრათ, სულ ახლახან დავმორდი...

დარეჯანი

ჩუ! ნულარაფერს იტყვით... კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს კლანში!

სოფიო

არ არსებობს!

დარეჯანი

კი! ჩვენ, ორივენი, ვართ... *(იმიტირებს საქორწინო ბეჭდის მოძრობას)*

სოფიო

არ მითხრათ, რომ თქვენც...

დარეჯანი

"გა" - როგორც "გა-თხოვება"

სოფიო

"ნ" - "ნ-ეტა ეს არ მექნა"

დარეჯანი

"ქორ" - "ქორ-წილი"

სოფიო

"წი" - "წი-ვილ-კივლი"

დარეჯანი

"ნე" - "ნე-რვების შლა"

სოფიო

"ბ" - "ბ-აი-ბაი"

დარეჯანი

"უ" - "უ-ჰ, ამოვისუნთქე!"

სოფიო

"ლი" - "წერტი-ლი"

ორივენი ერთად

გა-ნ-ქორ-წი-ნე-ბ-უ-ლი.

ჩვენ ვართ განქორწინებული ქალები!

(დარეჯანი სოფიოს ხელს ხელზე უჭერს)

დარეჯანი

ვხედავ, კარგ ხასიათზე გაყენებთ განქორწინება!

სოფიო

არ ვიცი, თქვენთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ნამდვილი შვებაა!!

დარეჯანი

მე... ნაკლებად მეხალისება... თავად წავიდა...

სოფიო (უახლოვდება დარეჯანს)

აჰ, ბოდიში! ვწუხვარ, არ ვიცოდი!

დარეჯანი

არა უშავს *(ხელს უწვდის. სოფიო სახით ემზობა დარეჯანის ხელში)*, არ ღირს ამაზე ლაპარაკი...

სოფიო

ხომ იცით, "ერთ დაკარგულს ათ..."

დარეჯანი

"ათწლიანი ძებნა მოსდევსო..." და თან რაღა დაგიმალოთ და, ჩემი გარეგნობის ქალს, ჯობია, უყვარდეს ძებნა!..

სოფიო

მართლაც!... არა, არა!! მინდოდა, მეთქვა, "ათი ნაპოვნნი მოსდევსო"... გამხნევდით, ფარხმალს ნუ დაჰყრით. იცით, სასაფლაოები სავსეა შეუცვლელი კაცებით!

დარეჯანი

აჰა! მასე ვიზამ!.. ნიჩბით წავალ და ერთ-ერთს ჩემთვის ამოვიღებ!.. ყოველ შემთხვევაში, იმედის მომცემი ქალი ხართ და ბინაც მშვენიერი გაქვთ. იცით რა? მეტი ფიქრი აღარ მინდა, ვიღებ ოთახს!

სოფიო

აჰ!.. იღებთ...

დარეჯანი

დიახ. ოთახებს დავათვალიერებ. რა ლამაზია! მშვენიერი დეკორაციაა! რა კარგი იდეაა *(ოთახში შედის)* ყველგან შავი კედლები!! განქორწინების მერე ხასიათს გამომიკეთებს! მოკლედ, გადავწყვიტე, მარჯვენა ოთახს ვიღებ, სადაც საწოლთან დიდი ჯვარი ჰქონდა... შეიძლება, ჩამოვხსნა?

სოფიო

ა?.. რატომ?

დარეჯანი

იმიტომ, რომ თუ თავზე დამეცა, ჩემს სექსუალურ ცხოვრებას ნამდვილად არ წაადგება!

სოფიო

ისა და... ცხოვრებაში რას საქმიანობთ?

დარეჯანი

ამჟამად გლობალიზაციის მსხვერპლი ვარ... მაგრამ მანამდე, გერმანიაში, დიდხანს ვეწეოდი მაღალი დონის სპორტსმენის კარიერას!

სოფიო

(*იცინის*) სერიოზულად?

დარეჯანი

რა თქმა უნდა, სერიოზულად! ცხენოსნობას მივდევი, მაგრამ ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამო, კარიერის შეწყვეტა მომიწია...

სოფიო

ანუ ძალიან დიდი ტრავმა მიიღეთ?!!

დარეჯანი

მე არა! ჩემმა ცხენმა! თავი ჩამოიხრჩო!!.. არავინ იცის - რატომ... ალბათ, ოჯახური პრობლემები ჰქონდა... ჰო, ისა, ქირის პირობებზე მეუბნებოდით...

სოფიო

(*დარეჯანი სოფიოს ზურგიდან მოადგება. სოფიო შეხტება და შემოტრიალდება*) ჰო! ე.ი. პირობები ასეთია: 300 დოლარი თვეში, პლიუს ბინის ხარჯების მესამედი, როგორც კი მეორე მდგმურს ვიპოვით.

დარეჯანი

300 დოლარი თითოზე?!!

სოფიო

დიახ, დიახ!

დარეჯანი

ოჰ, მთლად იაფი ვერაა... ჩუმლაცის უძრავი ქონების ბაზრის ფასი ნამდვილად არ არის! მაგრამ ისე მომწონს, რომ, თუ სიგიჟეა, სიგიჟე იყოს, ვიღებ!!!

სოფიო

და როდის აპირებთ გადმოსვლას?

დარეჯანი

ახლავე! აჰა, უკვე თქვენი თანამდგმური ვარ!

სოფიო

ახლავე... ამ წუთს???

დარეჯანი

დიახ.

სოფიო

უკვე?..

დარეჯანი

აჰაა.

სოფიო

შესანიშნავია... ეს უნდა აღვნიშნოთ. ლუდს ინებებთ?

დარეჯანი

არა, გმადლობთ.

სოფიო

კარგი. სხვა რა შემოგთავაზოთ? მაქვს კოკა ლაითი, ფორთოხლის წვენი ლაითი, ვაშლის წვენი ლაითი...

დარეჯანი

და ლაითი ძეხვი არ გაქვთ? (*იგინის*) მიფრთხილდით, ხუმრობებში გაწაფული ვარ! ჩუმლაყში, პირველი ვარ სიცილ-ხარხარში! კარგი, კარგი, ცოტა ლაითი ვაშლის წვენი დამისხით!

სოფიო

არ მითხრათ, რომ ფორმას უფრთხილდებით!

დარეჯანი

რასაკვირველია, ვუფრთხილდები... როგორც ყველა ქალი... მინდა, სასურველი ვიყო!..

სოფიო

აჰა. მე ეს-ესაა, ახალ ფიტნეს-კლუბში ჩავეწერე. გაგიგიათ "მუვინგი"?

დარეჯანი

კი, გამი-ნ-გი-ა მუვი-ნ-გი!

სოფიო

ცოტა ძვირია, მაგრამ ყველაფერია: საუნა, ჰამამი, ჯაკუზი, ბასეინი... ერთი ეგაა, რომ ერთბაშად 4 წლით უნდა ჩაეწერო.

დარეჯანი

4 წლით!! ღმერთო, რამდენის დაკლება გინდათ?

სოფიო

4 კილოსი.

დარეჯანი

4 კილო 4 წელში! ხშირად არ უნდა იაროთ მაგ კლუბში! ამ ტემპით, მხოლოდ ხუთშაბათობით რომ იაროთ, მხოლოდ ფისი ქნათ და უკან დაბრუნდეთ, საკმარისად დაიკლებთ... ეჰ, ვიცინი, ვიცინი, და... მთელი ცხოვრება რეჟიმზე ვიყავი, მაგრამ ახლა კი ვიცი, რომ არ მაქვს მარტივი აღნაგობა... მე უფრო ცხენი უნდა გამოვსულიყავი, ვიდრე ქალი!! ბაბუაჩემს, ამ ჩერჩეტს, უნდოდა, ჩემთვის დაერქვათ "ბუცეფალა"!

(ისმის მანქანის სიგნალი)

აჰ, ამ ყბედობაში, ჩემი ტაქსი დამავიწყდა! ჩავედი, ჩავედი, ბარგი ამოვიტანო. 2 წუთში აქ ვარ.

სოფიო

მოხმარება ხომ არ გჭირდებათ?

დარეჯანი

გმადლობთ... თავადაც აუვალ. *(კუნთებს აჩვენებს)*

(ისევ სიგნალი)

დარეჯანი (გადის)

ოო, გეყოს, სოფლელო! თავი სად გგონია!!

(სოფიოს ტელეფონი რეკავს)

სოფიო

სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გისმენთ... ოჰ, ნატალია! ჩემი მესიჯი მიიღე? მორჩა, დავმორდი!.. ფერმაში და თხის ყველში ცხოვრება... აღარ შემიძლო! მისმინე, საყვარელო, ახლა ვერ დაგელაპარაკები, გადმოგირეკავ! არა, არა, საგანგაშო არაფერია... *(უყურებს დარეჯანს, რომელიც ბრუნდება მწვანე მცენარით ხელში)* უფრო... განსაკუთრებული შემთხვევაა!..

დარეჯანი

გამაცურეს! ვიყიდე, როგორც "ბონსაი", ეს კი იზრდება და იზრდება!! *(გადის და*

შემოდის ბევრი ჩემოდნით) მადლობა, სოფლელი და შინ მშვიდობით დაბრუნდი! აჰა ეს, და დანარჩენს სოფლის მადლი მოგცევემს!

სოფიო

მთელი სახლი თან წამოიღეთ?!

დარეჯანი

ჩემი ქმრის ბრალია... ხომ იცით, როგორცაა: გაჰყვები ტყავულით მოვაჭრეს და ყოველ დაბდღეზე ერთი ჩემოდანი გაქვს!.. გესმით? პურის მცხობელს რომ გავყოლოდი, პურით სავსე ტომრით მოვიდოდი!!

სოფიო (ხუმრობის მცდელობით)

კიდევ კარგი, ტყის მჭრელი არ იყო, თორემ ძალიან მძიმე ბარგი გამოგივიდოდათ.

დარეჯანი

მაპატიეთ, მაგრამ როცა ასე მაგრად ხუმრობენ, ცოტა დრო მჭირდება, რომ გავიშინაგანო!.. ისა, ერთ სახლში ცხოვრებას ვაპირებთ და, იქნებ შენობით გველაპარაკა?

სოფიო

ოო, როგორც თქვენ... შენ ისურვებთ!... ვებ!

დარეჯანი

კარგი, მისმინე, ამ ყველაფერს ჩემს ოთახში დავაწყობ და ჩემს ამბებს მოგიყვები, შენი კი შენი მომიყევი. აბა, დროებით. *(გადის)*

სოფიო

თავი ისე იგრძენით... იგრძენი, როგორც თქვენს... შენს სახლში!

(კარზე აკაკუნებენ)

სოფიო

აჰ! ეს უთუოდ ქალბატონი ტაკოა...

მარია (შემოდის)

პრივიტი!

სოფიო

მობრძანდით...

მარია

ია მარია!

სოფიო

ტაკო, მარია ტაკო!

მარია

დააა! როგორ მიცანი?

სოფიო

ინსტინქტი!.. სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი.

მარია

ოი! ბაკურიანში აკირავებთ?!! მე თბილისში ვედზებდი...

სოფიო

არა, არა! ეს ჩემი გვარია!.. სოფიო ვახვახაშვილი-ჯ ა მ ბ ა კ უ რ ი ა ნ ი. არისტოკრატი გახლავართ! ცისფერი სისხლი მაქვს...

მარია

და ვენები გტკივთ ხოლმე? *(ივინის)* მომწონს აკაურობა! უბრალო, მაგრამ კარგი გარემოა!

სოფიო

გმადლობთ! იცით, ჩვენ, ქალები, სულ პატარა რაღაცეებით, არაჩვეულებრივ გარემოს ვქმნით!

მარია

კაცები უფრო მაგრები არიან: კიდევ უფრო პატარა რაღაცით ბავშვს გვიკეტებენ!

სოფიო

გყავთ ბავშვები? დაქორწინებული ხართ?

მარია

არა... არაა... ოი, არაააა! *(აქვითინდება)*

დარეჯანი *(შემოდის)*

რა წივილ-კივილია... რა ხდება? *(პირდაპირ მარიას ცხვირწინ აღმოჩნდება. მარია კივის)*

სოფიო

არ ვიცი. ეს, ქალბატონი ტაკოა. ვკითხე, დაქორწინებული თუ იყო და უცებ ქვითინი აუვარდა! *(მარიას ჩანთას ეჯახება)*

დარეჯანი

და რა საშინელებაა ასე ყივილი?? ტრაკოა თუ კარუზო?

სოფიო

ააა! რაღაც გაინძრა ჩანთაშიიი!!! ცხოველია შიიიიგ!! *(იქვე, მისადგმელ კიბეზე არბის)*

დარეჯანი

ცხოველია შიიიი? ცხოველიიი? *(ჩანთას იღებს და იატაკზე ურტყამს)*

მარია

კიი, კიიი!!! ეტო მოი ზაზუნა, მოი ზაზუნა ვნუტრიიი!! *(მარია ჩანთისკენ იხრება და გულის მასაჟს უკეთებს)*

დარეჯანი

ერთი რამ ცხადია – აწი ნაკლებად სწრაფად ირბენს!.. თუმცა თქვენ ერთადერთი იქნებით, ვისაც გაბრტყელებული ზაზუნა ჰყავს...

მარია

ცოცკალიაა!..

დარეჯანი

ჩვენ კი დაგვზაფრეთ, ქალბატონო ტრაკო!

სოფიო *(ჩამოდის მისადგმელი კიბიდან)*

ტ ა კ ო!

დარეჯანი

ბოდიში, მე ტრაკო გავიგე!

მარია

მნე ოჩენ ჟალ... ნე ზნაიუ კაკ აბისნიტ... ია სლიშკომ ჩუესტვიტელნა... ნო... კაკ სკაზატ...
ია...

დარეჯანი

ოო, ნელა! ვერაფერი გავიგეთ!..

სოფიო

ჰო, ცოტა ნელა, და ქართულად! არაფერი გვესმის!.. Made in ჩუმლაყი!

მარია

ო, ბოდიში, არ ვიცი, როგორ გითხრათ... მე, სულ ახლახან...

დარეჯანი

ჩუ! ნურაფერს იტყვიოთ! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს კლანში!..

მარია

კაკ? თქვენც??

დარეჯანი

"გა" - როგორც "გა-თხოვება"

სამივენი ერთად

"ნ" - "ნ-ეტა ეს არ მექნა"

"ქორ" - "ქორ-წილი"

"წი" - "წი-ვილ-კივილი"

"ნე" - "ნე-რვეების შლა"

"ზ" - "ზ-აი-ბაი"...

(მარია ისევ ქვითინს იწყებს)

დარეჯანი

კარგით, სულ ხომ არ უნდა იტყვიროთ ქალბატონო ტაკიტაკო?

სოფიო

ტ ა კ ო!

დარეჯანი

შემეშალა... მაგასაც კაი შტერული გვარი აქვს... კი, მაგრამ შეწყვიტეთ ეს ტირილი!
დადებითი მხარე დაინახეთ მოვლენებში!

მარია

დარდისგან არ ვტირი, სიკარულისგან! *(სოფიოს მკლავებში ჩასაკონებლად მიიწევს)*

სოფიო

(არ უყვარს, რომ ეხებიან და უთითებს დარეჯანისკენ) ჯერ ლურჯი, ლურჯი!
(დარეჯანის ტანსაცმლის ფერის მიხედვით)

მარია

და თქვენ... თქვენ, ალბატ, სოფიოს დედა კართ, არა? *(ემზობა დარეჯანის მკლავებში)*

დარეჯანი

ჰაჰააა, რა სასაციოლა ეს ჰარი პოტერის და!!! მე მქვია დარეჯანი, ვარ თქვენი თანამდგმური, და მოგიწევთ ჩემი ატანა! ახლა კი შეწყვიტეთ ქვითინი! გეგონება, მანქანის საავარიოა ჩართული: პიიი-პოოო-პიიი-პოოო!

მარია

ჰო, ვტირი, ვტირი... და ბინა დჟერაც არ დამიტვალიერებია! *(გადის)*

დარეჯანი (იმიტირებს მარიას)

"დჟერაც არ დამიტვალიერებია!" *(და იხვის ხმებს გამოსცემს)*

მარია (ცალკე)

ვაუ! სუპერ ნაის!!!

დარეჯანი

ნაის?

მარია

ლამაზია-მეტკი. *(შემოდის)* ალბატ, ეს სიტყვა შენ კშირად არ გაგიგონია...

დარეჯანი

ამ ბრიყვს დამიხედეთ!! იუმორი ჰქონია!

სოფიო

(შუაში ჩადგება) ე.ი. პირობებთან დაკავშირებით: 300 დოლარი თვეში, პლიუს ბინის ხარჯების მესამედი.

მარია

მე, სამწუკაროდ, ბევრი ფული არ მაკვს... დასანანია, ისე მომტონს ბინა!

დარეჯანი

მე მაქვს გამოსავალი: გააკეთე იგივე, რაც შერმოსვლისას ქენი, ოღონდ პირიქით!

მარია (თავის ზაზუნას)

მოდი, კიკი... მივდივართ!

დარეჯანი

ჰო, თან გაიყოლე ეგ შენი გაბრტყელებული ბლინიც!.. ვერ ვიტან! ვერ ვიტან!

სოფიო

მოიცადეთ! იქნებ 250-ზე შევთანხმდეთ!

მარია

გმადლობთ. საკლში დაბრუნება მირჩევნია, ჩემს შიროკინოში! სადაც ტსოტა დეპრესია შემომიტევს, მაგრამ არა უშავს...

სოფიო

კარგი... 230 დოლარი იყოს!

მარია

დავბრუნდები და ვიტკვი, რომ ეს დარეჯანის და სოფიოს ბრალია!

სოფიო

200, ბოლო ფასი!

მარია

მოსულა!!! ვრჩები, რადგან არ მეშვებიტ!

დარეჯანი

მე ხომ სულ კალთები დაგახიე!

მარია

მიკარია, რომ ერთად ვიცხოვრებტ!

დარეჯანი

მეც. ოღონდ ჯერ ცოტა უნდა გავიშინაგანო!.. (სოფიოს) ნაწყენი ვარ, ძალიან ნაწყენი ვარ. ამან ჩვენზე ნაკლები რატომ უნდა გადაიხადოს!..

სოფიო

არა უშავს, დარეჯან, როცა ჩვენ გაგვიჭირდება, დაგვეხმარება.

მარია

გამიკვირდება!

დარეჯანი და სოფიო

როგოოოო??

მარია

არაფერი... საკუთარ ტავს ველაპარაკებოდი...

დარეჯანი

საკუთარ თავს? აბა ჰკითხე, თვეში 300 დოლარს ხომ ვერ გასესხებდა??

სოფიო

კარგი. მოკლედ, აჰა ჩვენც – ერთ ჭერქვეშ თავმოყრილები! მაშასადამე, ჩვენ გვყავს ლამაზი მარია, ლამა.. დარეჯანი, და ერთიც სოფიო!

დარეჯანი

ჩარლიდა გვაკლია. ანგელოზები კი ვართ!..

სოფიო

ხომ იცით, როგორც ამბობენ: "სამი ქალი, სამი განქორწინება, სამიც შამპანურიი!"

დარეჯანი

ოჰოოო!

მარია

ო, არა, შამპანურს ვერ დავლევ... შამპანურზე, სენტიმენტები მაცვება და ჩემი ძიმა მახსენდება...

დარეჯანი

საწყალი...

სოფიო

მართლა?.. და შენ, დარეჯან?

დარეჯანი

მე სენტიმენტები არ მაწვება. სამაგიეროდ ბოყინი მიტყდება! *(აბოყინებს)*

სოფიო

მე რასაც ვერ ვიტან, ესაა მსმელი კაცები!

დარეჯანი

მსმელი კაცები... ჰმ... გაგიმხელთ: ჩემი ყველაზე გრანდიოზული ეროტიკული ღამე ჩუმლაყის ქვევრის ღვინის დაგემოვნების საღამოს უკავშირდება...

მარია

მე, კაცებში, ალკოგოლი იმდენად არ მაშინებს... რაც მკლავს ცკოვრებაში, ესაა რუტინა!

დარეჯანი

რუტინა.. რუტინა არა პრუტინა!.. პერო!!

სოფიო

რა თქმა უნდა, რუტინა! ხომ იმ საოცნებო მომენტს გულისხმობ, როცა ქმარი სამსახურიდან ბრუნდება, გკონის ისე, რომ არც გიყურებს, იხდის ქურთუკს, ეფლობა სავარძელში, რთავს ტელევიზორს, ათვალეირებს ტელე-პროგრამას, უყურებს ფეხბურთს... და რომ დააგვირგვინოს, ამ დიდებულ შეკითხვას გისვამს: "რას ვჭამთ ამ საღამოს?". ხომ ამაზე ლაპარაკობ, ამ რუტინაზე?

მარია

და!

დარეჯანი

მუაჰაჰაჰა!..

მე რაც ნერვებს მიშლიდა ჩემს ყოფილში, ეს იყო უნიტაზის საფარი... არ ვიცი, როგორ ახერხებენ ამას კაცები... სპეციალურად თუ არ შვებიან... ზედ ფსელის წვეთებს ტოვებენ!!.. ალბათ, ჰგონიათ, რომ ძან გრძელი აქვთ და წინ ვერ წაიწევიან!! ერთ დილას, ნერვები ისე მომეშალა!! წავედი, ლოგინში დავადექი და დავუღრიალე: "მოდი აჟ, ნახე, რა გააკეთე!! რა ჩაიდინე მაგ კუტუთი!!". სახე გავუერთიანე ტუალეტში!! უნიტაზის საფარი ყელსაბამად გავუკეთე... ხოლო ტუალეტის ჯაგრისი - სად, მაგას მერე გეტყვით, უკეთ რომ გაგიცნობთ! არ მჯერა, რომ შიგ ვერ უმიზნებენ!!.. ბოდიშით, მაგრამ ეს საკითხი ძალიან მაწუხებს!

მარია

დამშვიდდი, დარეჯან, სტრესს გატყობ... კოთნის ჩაი გინდა?

დარეჯანი

რაო? ქოთანო? მე დამიძახა "ქოთანი"?!!

სოფიო

ქონდრის ჩაი! ქოონდრიის!

დარეჯანი

კიდევ ერთხელ ახსენებს "ქოთანს" და...

სოფიო

მითხარი, დარეჯან, შენი ყოფილი რითი იყო დაკავებული?

დარეჯანი

ხომ გითხარი, ტყავით ვაჭრობდა, ჩუმლაყში.

მარია

მეც ვიცნობდი ერთ ბიჭს, ისეთი ტყავი...ტანი...კანი ჰქონდა!!..

დარეჯანი

ეს მგონი მართლა ლელვია... ტყავეული! ხელჩანთები!

მარია

ლელვი თუ ხელჩანთები?

დარეჯანი

აქ ვნებდები!!

სოფიო

ჩუმლაყში, ალბათ, მაგარ დროს ატარებენ, არა?

დარეჯანი

ოო, უმაგრესს! ამითაა ჩუმლაყი ცნობილი! როცა საშინელ ხასიათზე ხარ, მაშინ უნდა გახვიდე ღამის ჩუმლაყში... ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა სცადო... ა რ ა ფ ე რ ი იქ არ ხდება!!! ა რ ა ფ ე რ ი!!! კი, დროდადრო, ფილმს უშვებენ კლუბში, მაგრამ სანამ მეზობელი გაგაგებინებს, სანამ მოირთვები და დაივარცხნი, ფილმიც მთავრდება... სხვათა შორის, მე და ჩემი ქმარი ამან გაგვყარა!

მარია

რამ გაგკარატ? ფილმმა?

დარეჯანი

ეს ჩერჩეტი აღარ მახსოვდა!.. არა, პრუტინა-რუტინამ! იმან, რომ არასდროს არაფერი ხდებოდა. და როცა ვამბობ, რომ არაფერი ხდებოდა, ჩემზე ვამბობ! იმას კი... იმას დალხენილი ცხოვრება ჰქონდა. მთელი კვირა ბრიყვს თამაშობდა, კვირადღეს კი –

ფეხბურთს.

მარია

ჩემს მამადუს გვანებია.

დარეჯანი

ოო, ეს, როგორც ჩანს, ევროპას არ დასჯერებია!..

მარია

კაცებთან, პრობლემა ისაა, რომ თავიდან ყველაფერს აკეთებენ, რომ თავი მოგაწონონ. მენც გიყვარდება! მერე კი ნამდვილ სახეს აჩენენ...

დარეჯანი

აჰა! ზოგჯერ სიჭკვიანეც წამოგცდება!

სოფიო

და რა?

მარია

შავკანიანი იყო.

დარეჯანი

ჰოო... თავიდანვე უნდა ეთქვა!!

მარია

ნუ ვიდარდებთ, გოგოებო! მოდით, ამყევით! *(სოფიოს აცეკვებს; რადიოში ისმის სიმღერა "ლა კუკარაჩა, ლა კუკარაჩა...")*

დარეჯანი

ერიჰააა!.. მოკლედ, მოვრჩები ჩემს ისტორიას... ერთ მშვენიერ დილას მიმატოვა, გაუფრთხილებლად, მიზეზის აუხსნელად... მიმატოვა, როგორც ლაჩარმა, როგორც კაცმა რა!! ტელევიზორზე დამიტოვა ორი სიტყვა: "მე წავვედი". არ ვნანობ, იდიოტი იყო: "წავვედი" ორი "ვ"-თი ეწერა.

სოფიო

იცით, მეც ეგ ორი სიტყვა დავუტოვე ჩემს ქმარს... აჰ! მგონი ორი "დ"-თი დავწერე "წავვედი"... არ უნდა ორი "დ"?

მარია

უჰ, მე მაგდენი არ ვიცი. ნული ვარ მენტალურ გამოთვლებში!

დარეჯანი

ამის აი-ქიუ, ალბათ, გაყინვის პირასაა!..

ჰოდა, მას მერე ვცდილობ ახალი ცხოვრების დაწყებას, მაგრამ ფრთხილად,

განქორწინება არც ისე იოლია... თან მე ერთ რამეს ვერ ვიტან განქორწინებულებში: სულ ერთმანეთს ლანძღავენ! მე კი ყოველთვის ვამბობ, რომ ბედნიერი ვიყავი 22 წლის მანძილზე... ნამდვილი ბედნიერების 22 წელი გავატარე... სანამ მას შევხვდებოდი!!.. მოკლედ, ცხოვრების თავიდან დაწყებაა საჭირო, ბრძოლაა საჭირო! მოვრჩი წუწუნს. იმ მხრივ მაინც გამიმართლა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ვარ (*მაყურებელს ეჩვენება*). მოკლედ! თქვენთან ბოდიში, მაგრამ ასეთი სხეული დიდ დასვენებას მოითხოვს! წავედი, დავწვე, ღამე მშვიდობის!

სოფიო

გოგოებო, მითხარით, ხვალ დილისთვის რამე ხომ არ დაგიგეგმავთ?

დარეჯანი

არა, რატომ?

სოფიო

იქნებ ერთად გვესაუზმა?

დარეჯანი

კარგი იდეაა! ხვალ ცოტა ადრე ავდგები და კრუასანებს ამოვიტან!

(მარია ტირილს იწყებს)

დარეჯანი

არ მითხრა, რომ კრუასანთანაც გქონდა რომანი!!

მარია

არა... ჟან-ფილიპს... ჟან-ფილიპს უყვარდა კრუასანი!!!

დარეჯანი

ვერ ვიტან! ვერ ვიტან!

პირველი მოქმედების დასასრული

მოქმედება II

(დარეჯანი სცენის გარეთაა. სოფიოს მეზღის ტანსაცმელი აცვია, მისადგმელ კიბეზე დგას და კედლის ყვავილებს უვლის. დარეჯანის სიმღერა ისმის)

დარეჯანი

"რა ვქნა, რომ ბეედი არ მწყალობს! არ ვიცი, რაას დავაბრალოოო..."

სოფიო

დარეჯან! იქნებ სხვა რამე იმღერო?

დარეჯანი

(შემოდის ჭრელი წინსაფრით)

არ ვიცი, რა მომდის, მაგრამ ეს სიმღერა ძალიან ჩემია!..

(სოფიოს) რა სასაცილოდ გამოწყობილხარ! რა ფერებია! ზოგს რა გემოვნება აქვს!

კარგი, რადიოს ჩავრთავ. იქნებ გუნება გამოგიკეთოს.

(დარეჯანი რთავს რადიოს. ისმის აჩიკო მეფარიძის "მშვიდობით". ცვლის სადგურს.

ისმის სტატისტიკური მონაცემები: "წყვილების 83%, რომლებიც 25 წლამდე ქორწინდებიან, იყრებიან მომდევნო 3 წელში. დაქორწინებული ქალების 60% აღიარებს, რომ ქმართან არ ჰქონიათ ორგაზმი. და ბოლოს, განქორწინებული ქალების 83% ველარასდროს ქორწინდება.")

(სოფიო მისადგმელი კიბიდან ვარდება)

დარეჯანი

რაო?

რადიო

"ვიმეორებ: განქორწინებული ქალების 83% ველარასდროს ქორწინდება."

დარეჯანი

თან რომ იმეორებს ეს იდიოტი!!

რადიო

"იდიოტი თავი გაბია! თავად არ მკითხე?!"

სოფიო

გამორთე, გამორთეეე!

(დარეჯანი გამორთავს რადიოს)

სოფიო

ღმერთო ჩემო, დილიდანვე როგორ გვაიმედებენ! გესმის, განქორწინებული ქალების 83% ველარასდროს ქორწინდებაო... იმედია, ჩვენ დარჩენილ 62%-ში ვართ!

დარეჯანი

(იცინის მაყურებლისკენ) გენიოსებით ვარ გარშემორტყმული!!.. ა, სოფ?

სოფიო

რა არის?

დარეჯანი

არაფერი... რა მაგის პასუხია და... არ მინდა, ჩაშვება გამომივიდეს, მაგრამ... აქ სამნი თანაცვებოვრობთ. და ეს უკრაინკა რა ჯანდაბას თანა-გვიკეთებს?? არაფერს! არასდროს ალაგებს, დილის 5 საათზე ბრუნდება, შუადღის 2 საათზე იღვიძებს... ყოველ საღამოს ერთი მეხანძრე მოყავს! ყოველ საღამოს: ერთი მეხანძრე!! გესმის?! აქ უფრო მეტი მეხანძრეა, ვიდრე სახანძროში!! მოკლედ, ამომივიდა! წავალ, გავალვიძებ.

სოფიო

მოიცა, მოიცა, დარეჯან!

დარეჯანი

რაა???

სოფიო

კარგი, მიდი, ოღონდ წყნარად...

დარეჯანი

კარგი რა, ვითომ არ მიცნობდე! *(გადის)*
(წყნარად) უკრაინკააააა, *(ღრიალით)* ავდექიიიით!!! *(ბრუნდება)* ესეც ასე, წესით, უნდა გაეღვიძოს!

(მარია შემოდის ღამის პერანგით)

დარეჯანი

ააა, როგორ გეძინა?

მარია

თოთო ბავშვივით!

დარეჯანი

(ვერ ხედავს მარიას თმებში ჩამალულ სახეს) ჩემკენ სახით დგახარ თუ ზურგით?..
(მარია სახეს აჩენს) ჩვენც არა გვიშავდა, სანამ რადიოს მოვუსმენდით. ეს-ესაა, თქვეს, რომ განქორწინებული ქალების 83%... გამაგრდი! გამაგრდი! გამაგრდი!.. ველარასდროს ქორწინდება!

მარია

და ვერც საკვარლებს პოულობს???

დარეჯანი

არ იდარდო, მეხანძრეებზე არაფერი უთქვამთ!

მარია

უჰ, როგორ შემაშინე!!

სოფიო

ჰო, იმედია, მონაზვნებად არ წავალთ.

მარია

ინტერნეტ-ანონსები ვნახოთ და კალაკის ყველა ლამაზი მარტოკელა კაცი ლოგინში შემოვიგოროტ!

სოფიო

ოჰ, არა, ამას როგორ ვიზამთ!

(ძალიან ვნებიანად ესაუბრებიან ერთმანეთს)

მარია

კი მაგრამ რატომ?

სოფიო

გგონია, რომ მასეთი რამის ჩადენა... შეიძლება?

მარია

რაგა ტკმა უნდა!

სოფიო

ჩავიდინოთ... წავიხალისოთ!

მარია

აჰა, გაჩვენებ!

დარეჯანი

ეეეე, აბა დავმოშმინდით, კუდრაჭებოლო!

მარია

ოოო, დარედჟან, ტავად დავმოშმინდი რააა!

დარეჯანი

მე ძალიან დაშოშმინებული ვარ!

სოფიო

არა, მართლა, იქნებ მაინც გვეცადა... ეგ ვის არ უქნია!

დარეჯანი

ანონსებს ავადმყოფები აკეთებენ. ნორმალურ კაცებს ეგ არ ჭირდებათ... ეგრევე სალდებიან!

სოფიო

იცი, ხანდახან, თუ გამოერია, ერთი კარგი კაციც საკმარისია!

მარია

მგონი, დარედჟან მარტალია. კაცები, რასაც უნდატ, იმას ტსერენ ანონსებში. ტიპი გტსერს, რომ ჯეიმს დინია, პაემანზე კი მისტერ ბინი მოდის!!

სოფიო

მე მაინც გადავხედავ ამ ანონსებს!..

დარეჯანი

ერთბაშად, კაცი არ იპოვო მაგ ანონსებში!..

სოფიო

გავიგე! მაგრამ ხომ შეიძლება, მაინც გადავხედო? *(ხსნის ინტერნეტ-გვერდს)*

დარეჯანი

რა ქენი, იპოვე რამე?

სოფიო

ვიპოვე: "45 წლის კაცი"!

დარეჯანი

ოჰ... მშვენიერი ასაკია!

სოფიო

"სიმაღლე: 1მეტრი და 49..."

დარეჯანი

აზრზე ხარ? ტიპი თითქმის უფრო ხნიერია, ვიდრე სიმაღლე აქვს! იქნებ 2 ნაწილადაა ანონსი?.. აქ მხოლოდ ფეხების სიგრძეა... აჰ, არა, როგორც ჩანს, ყველაფერი ჩაუტევია ერთ ანონსში. ჰოდა, ალბათ, შუბლზე ფეხის სუნი ასდის.

სოფიო

მოიცა, არ დამთავრებულა: "წონა: 118კგ"

დარეჯანი

ოოო, ეგ კაცი კი არა, ვანკა-სტანკა!

სოფიო

"...გატაცებულია მესაქონლეობით, ეძებს საბედისწერო ქალს".

მარია

მასეთი აგნაგობის პატრონს, კიდევ კარგი, რომ მესაკონლეობა უყვარს... მარტო ძროკა შეიდზლება, გამოეკმაუროს!

(მარია და სოფიო იცინიან... და დარეჯანის დანახვაზე, უცებ ხვდებიან შეცდომას)

სოფიო და მარია

"ძროხის" თქმა არ გვინდოდა! "ძროხის" თქმა არ გვინდოდა!

დარეჯანი

დამშვიდდით! ძროხა ჩემთან რას მოვა!.. ძროხების ხსენებაზე, ერთი კარგი ხუმრობა გამახსენდა. ფრთხილად, ძან სასაცილოა: რომელია ყველაზე საუკეთესო ადგილი ძროხებთან შესახვედრად?

სოფიო და მარია

რომელი?

დარეჯანი

სოფლის კლუბი!.. რა იყო, არ გეცინებათ? არადა ჩუმლაყში მაგრად ეცინებოდათ!..

მარია

(დასცქერის ინტერნეტ-გვერდს)

ჰაჰა, ეს ნაკეთ, გოგოებო: "50 წლის დზალიან თავისუპალი კალი ედზებს კაცს გასარტობად. დაუკავშირდით ნომერზე: 061152..." რააა??... ოოოოოო!!..

დარეჯანი

რა იყო???

მარია

დედაჩემია!!!

დარეჯანი

ჰაჰაჰა, რაც დედა, ის შვილი... ჰაჰაჰა.

უუუჰ, მე ჩემპიონი ვიპოვე!... *(მარიას)* იქნებ მამაშენია?... "აპოლონი"... ჰაჰაჰა...

სოფიო და მარია

ააააჰ ?

დარეჯანი

"86 წლის"

სოფიო და მარია

უუუუჰ...

დარეჯანი

ეგ, ალბათ, თავდაპირველი აპოლონია! "ემებს თავის აფროდიტას, მაქსიმუმ 25 წლისას"... ეტყობა, ევროეზზე გადაახურდავა! "უნდა იყოს მაღალი და ლამაზი..."

სოფიო

კი, როგორ არა! 25 წლის გოგო, მაღალი და ლამაზი... ეგრევე დაურეკავს მაგ წიაღისეულ ნამარხს!

დარეჯანი

რა არის, ეს რა საიტია!!

სოფიო

სხვანაირად უნდა მოვიქცეთ. ჩვენი ანონსი უნდა გავუმვათ და პასუხებს დაველოდოთ!..

მარია

უჰუუუ! ანონსს დავწვეერტ! (გადის)

დარეჯანი

მშვიდად, მშვიდად! რა ანონსი? რა უნდა დავწეროთ? "სამი განქორწინებული ქალი ემებს კაცებს"...? ძაან პროფესიონალური გამოვა! ცალ-ცალკე მაინც შეიტანეთ ეს ანონსები. მასეც საკმარისად რთული ვითარებაა!

სოფიო

აბა, რომელი ვიწყებთ?

დარეჯანი

(*უთითებს სოფიოზე*) შენ!

სოფიო

კარგი, ვიწყებ... ე.ი. "ქალი"...

დარეჯანი

აჰა, ეგრე გარანტია გექნება, რომ სწორ რუბრიკაში განგათავსებენ...

სოფიო

"25 წლის..."

დარეჯანი

დღგ-ს გარეშე?

სოფიო

კარგი, "35 წლის..."

დარეჯანი

ეს – შავად!

სოფიო

"ლამაზი.."

დარეჯანი

ოო, ეგ კი, შეგიძლია, ჩაწერო. რაც გაქვს, გაქვს!

სოფიო

"განქორწინებული..."

დარეჯანი

აჰ, ეგ არა! კაცებს გააქცევ!

სოფიო

ხუმრობ? 35 წლის ქალი თუ ნაქორწინები არ არის, ან მატყუარაა ან ძაან საძაგელი!

დარეჯანი

(მაცურებელს) ჰო, ჰო, ჰო, არ გამაზოთ, კაცებო, უპასუხეთ ამ სადამოსვე!.. აბა თქვენ იცით... და მანქანაში, "რა ვქნა, რომ ბეეედი არ მწყალობს" არ ჩაურთოთ... სურამელაშვილი ჩაურთეთ (ისმის "შენ ჩემო ბედის ვარსკვლავოო, მე შენთვის გული ღია მათქვანს").

(მარია ბრუნდება, პენუარით და თავზე პირსახოცით)

მარია

ოო, ეგ ის კლიპი არ არის, პატარა ფისო რომ ტსეკვავს?!

დარეჯანი

...შენ! წინ მთელი ცხოვრება გაქვს იდიოტობისთვის!.. არ გინდა, ერთი დღე შვებულება აიღო?!!

სოფიო

"ეძებს პატიოსან და ერთგულ კაცს."

მარია

ოო, ღზალიან ბევრს ითხოვ. ან "პატიოსანი" ჩატსერე ან "ერთგული", მაგრამ არა ორივე!

სოფიო

მდაა... რა ჩავწერო, ბოლო-ბოლო? "პატიოსანი" თუ "ერთგული"?

მარია

ჩატსერე: "რაც შეიძლება პატიოსანი და რაც შეიძლება ერთგული".

დარეჯანი

აჰა! და ეგეც თუ იპოვე, სამუზეუმოდ უნდა შეინახო!

სოფიო

"ემებს მეგობრობის მიზნით, და სხვა მიზნითაც... სიმპათიის შემთხვევაში".
ტელეფონსაც ვუთითებ! აბა, შენი ჯერია, მარია!

(სოფიო გადის)

მარია

ჩემი?? და რა ჩავტსერო?

დარეჯანი

სიმართლე *(იგინის)*

მარია

ო, არა, არასდროს დაიდურებენ...

დარეჯანი

მართალი ხარ. მაშინ, მოიტყუე!

მარია

"არაჩვეულებრივი და ულამაზესი კერა კალი!"

სოფიო

(კულისებიდან) ნამეტანსაც ნუ იზამ!

დარეჯანი

მართალს გეუბნება! ეს განცხადებაა, სამეცნიერო ფანტასტიკა კი არა! ხომ იცი, რომ მერე სინამდვილეში გნახავს...

მარია

"ლამაზი კერა კალი"

დარეჯანი

აჰა, ესეც საკმარისად გაყიდვადია!

მარია

"ტსარმოშობით უცხოელი..."

დარეჯანი

ნუ წვალობ, ტელეფონზეც მიხვდებიან.

მარია

"იუმორის გრდზნობით."

სოფიო

(*კულისებიდან*) რაა? შენ და იუმორი?

დარეჯანი

კი, კი, ჩაწერე: "უნებლიე იუმორის გრძნობით".

მარია

დიაკ, მგონია, რომ მაკვს იუმორი! და ეს უნდა ჩავწერო!

დარეჯანი

აჰა!.. შენ თუ იუმორი გაქვს, ბენი ჰილი ხილია!

მარია

და მისტერ ბინი – ბლინი! აჰა თუ არ მაქვს იუმორი!

დარეჯანი

მდააა... ვხოხავ სიცილით!

(სოფიო ბრუნდება პენუარით და თავზე პირსახოცით)

სოფიო

და ფიუნესი - პიურეში!

დარეჯანი

რა იყო, ხუმრობების დღე გაქვთ?... ამ ფონზე, ძროხებზე ჩემი ხუმრობა იუმორის პიკი იყო!!

მარია (წერს)

"სრულყოფილი ხიბლით...", "სრულ", "ყ", "ო", "ფ", "ი"... "ყოფი"... ყ ო ფ ი ლ ი!!

დარეჯანი

ქმა...

სოფიო

რი...

სამივენი ერთად

ყოფილი ქმარი!! (ტირიან; ისმის ჟაკ ბრელის "ნე მე კიტ პა")

დარეჯანი

ცუდად ვარ!.. ძალიან ცუდად ვარ!.. SMS-ს გავუგზავნი საკუთარ თავს! (გადის)

სოფიო

არა! გავმაგრდეთ! გავმაგრდეთ! გავმაგრდეთ... მე ვარ განქორწინებული, ბედი მელის ჩინებული! მე ვარ განქორწინებული, ბედი მელის ჩინებული! მე ვარ განქორწინებული...

მარია

ეგ რაღაა?

სოფიო

საშიმი! ტიბეტური შელოცვაა. ჩემმა კრეტიმმა ქმარმა მასწავლა... ამბობ ფრაზას და იმეორებ და იმეორებ... და საბოლოოდ, ძალაუვნებურად, ის ხდება, რასაც ამბობ. თუმცა ფრთხილად, გართიმვა არ უნდა დაგავიწყდეს: "მე ვარ განქორწინებული, ბედი მელის ჩინებული!".

მარია

"მე ვარ განქორწინებული, ბედი მელის ჩინებული! მე ვარ განქორწინებული... კაცს ვიპოვი, მიგრდუნობს გული. თან ეკნება ბევრი ფული! კაცს ვიპოვი, მიგრდუნობს გული. თან ეკნება ბევრი ფული!".

(დარეჯანი შემოდის პენუარით და თავზე პირსახოცით)

დარეჯანი (გაბრაზებული)

და... ისეთი შელოცვა არ იცით, ცხელი წყალი რომ მოიყვანოთ?!! ორივენი 2 საათიან შხაპებს იღებთ!! და მე... მე ლოლუები მრჩება! (გადის)

მარია

საქმეს დავუბრუნდეთ. "ლამაზი კერა კალი, ტსარმოშობით უკრაინელი, იუმორის გრდუნობიტ და სრულყოფილი ხიბლიტ, ედზეებს დზლიერ კაცს, სულ მცირე 1მ80-ს და მელოტს..."

სოფიო

ო, არა, "მელოტი" არ ჩაწერო! უფრო ასე ჩაწერე... "ქაჩლები მიიღებთან".

მარია

რა არის "კაჩლები"?

სოფიო

მაჩვები!

(სოფიო გადის, დარეჯანი შემოდის)

მარია

"დამირეკეთ ნომერზე: 00 995 40 171 82 42 26 99 29 95 469"

დარეჯანი

რა იყო, ზარს ატრანსფერებ?

მარია

(დარეჯანს) შენი დეერია!

დარეჯანი

აჰ, არა, გმადლობ, მე ეგეთი სისულელეები არ მაინტერესებს...

სოფიო

(კულისებიდან)

ო, არა, დარეჯან!! ან სამივენი ვაკეთებთ ან არცერთი!

დარეჯანი

სულ რაღაც 9 წელია, მარტო ვარ... ჯერ კიდევ დრო მჭირდება, სანამ მეორე რაუნდზე წასვლას გადაწყვეტ!

მარია

მიდი რა, დარეჯან!

დარეჯანი

კარგი, კარგი, თქვენი ხათრით! ვიწყებ: "ლამაზი და მაღალი შავგვრემანი ქალი..."

მარია

არა, "ლამაზი" არ გინდა.

დარეჯანი

მართალი ხარ, "ლ ა მ ა ზ ი" არ მინდა - ექვსი ასოს ეკონომიას გავაკეთებ და შენ გასესხებ შენი განცხადებისთვის, სადაც შეგეძლება, დაამატო: "ი დ ი ო ტ ი"!!!

(მარია გადის, დარეჯანი მარტო რჩება სცენაზე)

დარეჯანი

მოკლედ! "ლამაზი და მაღალი შავგვრემანი"... ააა! დამსტრესა! და ორთოგრაფიულ შეცდომებს ვუშვებ!.. "შავგვრემანი!!"... "ეძებს კაცს, სულ მცირე 1მ, *(სოფიო შემოდის)* სულ ბევრი 30მ, 0 და 600კგ-ს შორის", რა გვენადვლება, გარაჟი გვაქვს!

"ნ.წ.ნ.ე.თ.პ.პ."

სოფიო

ეგ რას ნიშნავს, დარეჯან?

დარეჯანი

"ნ-ებისმიერი წ-არმომავლობის, ნ-ებისმიერი ე-როვნების, თ-უნდაც ჰ-ატარა ჰ-ენისით!"
ყველას უნდა მივცე შანსი...

სოფიო

აჰა! სექსის "დედა ტერეზა" გამოდიხარ!..

დარეჯანი

ღმერთო, მაჰატიე, მაგრამ მე მაინც დიიდი თევზი უნდა დავიჭირო!

(მარია შემოდის)

მარია

მორჩით? გავუშვებ ანონსებს...

(სოფიოს) ჩემო კარგო, დარცმუნებული ვარ, ბევრი ზარი შემოგივა.

სოფიო

მართლა?!

(მარია აკლიკებს და გადის)

დარეჯანი

დარწმუნებული ვარ, ჩემი ანონსი არ გაუშვა!

სოფიო

დარეჯან! რატომ ამბობ ამას?

დარეჯანი

კონკურენციის ეშინია!..

მეორე მოქმედების დასასრული

მოქმედება III

(მარია სცენაზეა. სოფიო შემოდის პიჯამოთი)

სოფიო

შენ უკვე ადექი?!!

მარია

(ტელეფონს აწვდის) ნახე!

სოფიო

128 ზარი!

მარია

(ახლა თავის ტელეფონს იღებს) მე – 122!

სოფიო

ახლა რა ვქნათ? ყველას ხომ ვერ გადავურეკავთ?

მარია

კი, მე ყველას უნდა ვუპასუხო! მაგრამ... კრედიტი ამომეწურა...

სოფიო

ნუ დარდობ, მე მაქვს კრედიტი.

(დარეჯანი შემოდის სურსათით სავსე ჩანთით)

მარია

ო, დარედჟან! საკიდლებზე იყავი?

დარეჯანი

დიახ, მაგრამ მორჩა, მარტო აღარ წავალ!.. ეს ავადმყოფების ქალაქი! ეს თბილისელები ისე გაშტერდებიან, ისე გეარშიყებიან... გაუთავებლად! შემაწუხებს... ერთი იყო, ამეკრა 1 საათის განმავლობაში! ისე გავბრაზდი, თეთრი ყავარჯენი დავუმტვრიე და შავი სათვალეებიც ზედ მივუყოლე! რა ეგონა? მისი ლაბრადორის შემეშინდებოდა?.. თქვენ რა ქენით, მოგივიდათ პასუხები ანონსებზე?

მარია

122!

სოფიო

128! მე მოვიგე!

დარეჯანი

მე ერთიც არ მომსვლია! ალბათ, ტელეფონი არ იჭერდა...

სოფიო

დარეჯან, რას ფიქრობ, ახლა რა უნდა ვქნათ? რამდენიმე კანდიდატი შევარჩიოთ?

დარეჯანი

შეარჩიოთ, გასაგებია, მაგრამ რა კრიტერიუმებით? *(გადის სურსათის დასალაგებლად)*

სოფიო

არ ვიცი... ხმით?

დარეჯანი

არა, რას ამბობ. პიროვნებას ხმით ხომ ვერ შეაფასებ! ჩემი ჩახრინწული ხმა ხომ გესმით? არადა, ფიზიკურად შეუდარებელი ვარ... ერთ დღესაც შემომასკდება *(ტანსაცმელზე ითითებს)*...

მარია

ისეთებს დავურეკოტ, რომლებიც გაგვაკალისებენ!

დარეჯანი

მართალია, 5 შეკითხვას დავუსვამთ და რომელიც კარგად გვიპასუხებს, პაემანიც იმას!

სოფიო

და რა შეკითხვები დავუსვათ?

დარეჯანი

რა შეკითხვები და, ყველანაირი! როცა კაცთან ცხოვრებას აპირებ, ჯობია, იცოდე, რა უდევს გოგრაში! და არა მარტო გოგრაში...

სოფიო

მართალი ხარ! აბა, ერთად მოვიფიქროთ შეკითხვები! ე.ი. შეკითხვა ნ°1...

მარია

"ტვეში რამდენი გაკვს შემოსავალი?"

დარეჯანი

აპ, აპ, აპ... რას ამბობ! რა შემოსავალი?!! აქ ფულზე არ ვლაპარაკობთ, არამედ სიყვარულზე... ს ი ყ ვ ა რ უ ლ ზ ე... *(ისმის სიმღერა: "სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის..." და დარეჯანი იწყებს ცეკვას. სოფიო და მარია სიცილით კვდებიან)*

დარეჯანი

დამცინით??!

სოფიო და მარია

არავითარ შემთხვევაში!

დარეჯანი

ფრთხილად! "მულენ რუჟში" ვიმუშავე 10 წელი... უსაფრთხოების აგენტად!
მოკლედ, შეკითხვა ნ°1 უნდა იყოს რომანტიკული. საქმე კაცს ეხება, ნაზად უნდა
მიუდგე: "ბოლოს რა ფილმი ნახე კინოში?" - აი, ეს კარგი შეკითხვაა...

სოფიო

(იწერს)... მეორე!

მარია

"ტვეში რამდენი გაკვს შემოსავალი?"

დარეჯანი (გადის წინსაფრის გასეკეთებლად)

ეს უკვე მძიმე შემთხვევაა. ექიმია საჭირო!

მარია

ეს კომ მნიშვნელოვანია, ფული აკვს თუ არა!

სოფიო

მგონი, მთლად ტყუილს არ ამბობს.

დარეჯანი (შემოდის)

ჰოდა, თუ თქვენთვის ფული მნიშვნელოვანია, დაუსვით შეკითხვა, ოღონდ უფრო
დელიკატურად, მაგალითად...

მარია

"რამდენს შოულობ?"

დარეჯანი

ოო, ეგ ძან დელიკატურია!.. მიმიქარავს "კარპაჩო"!.. არა, რა თქმა უნდა!! გაცილებით
დელიკატურად, მაგალითად...

სოფიო

"ცხოვრებაში რას საქმიანობ?"

დარეჯანი

აჰა!

სოფიო

მესამე!

დარეჯანი

მესამე... შეკითხვა, რომელიც კაცს თავიდანვე უნდა დაუსვა, სანამ შორს შეტოპავ: "თავისუფალი ხარ?". ხშირად ავიწყდებათ ამ შეკითხვის დასმა და მერე ნანობენ!

მარია

ჰო, მოგალატე კმრებს ავიცილებტ, შუადგეების გასატარებლად რომ საკვარლებს ეღზებენ!

სოფიო

თან ყველანი გამხდრები არიან ეგენი!

დარეჯანი

როგორ, გამხდრები არიან?

სოფიო

შუადღეობით არ ჭამენ!

დარეჯანი

არ მჯერა, რომ ასეთი სისულელები მესმის! *(გადის)*

სოფიო

ე.ი. მესამე: "თავისუფალი ხარ?". მეოთხე?

დარეჯანი

(ბრუნდება) მოიცა, მოიცა! მეოთხედან, ძან გულწრფელი უნდა გავუშვათ... მეოთხედან, ჩვენი თოქმოუების შეკითხვებია საჭირო. "უკაცრიელ კუნძულზე რომ მიდიოდე და მხოლოდ ერთი რამის წაღება ან ერთი ვინმეს წაყვანა შეგეძლოს, რას წაიღებდი ან ვის წაიყვანდი?"...

სოფიო

ცოტა ინტიმური შეკითხვაა!

მარია

სამაგიეროდ, თუ გიპასუხა "დედას" ან "ჩემს მანკანას", იცი, ვისტანაც გაკვს საკმე!

დარეჯანი

მართალია. ხოლო, ვინც გიპასუხებს "შენ!", კისერზე უნდა მოეხვიო!

სოფიო

კარგი, ვინიშნავ "უკაცრიელი კუნძულის" შეკითხვას...

მარია

მეხუთე... ხომ უნდა ვიტყვოდე, როგორ გამოიკურება?

სოფიო

ცხადია... გატეხავს უკაცრიელ კუნძულზე, მაგალითად, შტრუმფთან ერთად წასვლა!

მარია

მით უმეტეს, თუ ზღვა ლურჯია და შტრუმფი თუ შიშველი შვიდა, ხომ დაიკარგება! არა, მართლა! ასე იკარგება მილიონობით შტრუმფი ყოველ წელს...

დარეჯანი

აბა... არადა დედამ რამდენჯერ გააფრთხილა პატარა შტრუმფები: ქუდი დაიხურეთ, ქუდი დაიხურეთ, ლურჯები ხართ, ზღვისგან ვერ გაგარჩევთ!..

არა, ერთ დღეს, ნამდვილად უნდა ეჩვენო ექიმს!..

კაცს ტელეფონით ხომ არ ვკითხავთ, როგორ გამოიკურება! ხომ გაბრაზდა! არ არის იოლი შეკითხვა... მეხუთე შეკითხვისთვის, მთელს ჩვენს ქალურ ინტელექტს უნდა მოვუხმოთ...

(სიჩუმე: სამივეს გაშტერებული გამომეტყველება აქვს)

დარეჯანი

ასე უცებ არ მოდის... ღმერთო ჩემო, მომივიდა! ბერძნული ღმერთები უნდა მოვიშველიოთ, მიდი, ჩაწერე: "ფიზიკურად, ეროსს უფრო გავხარ თუ სქელოსს?"

მარია

ეს დზაან პირდაპირი ხომ არაა?

სოფიო

ყოველ შემთხვევაში, ნათელია! აჰა, ჩვენი 5 შეკითხვაც მზად გვაქვს! დარეკვალა დაგვრჩა... აბა, ვიწყებ! დავურეკავ... გოდერძის! კარგი ტიპი ჩანს გოდერძი!

მარია

ოო, მე მკავდა ერთი გოდერძი... ისეთი სახლი ჰკონდა...

დარეჯანი

ძაან ნუ იოცნებებ! მეც მკავდა ერთი გოდერძი... ბრიყვი, როგორც ციყვი!

სოფიო (რეკავს)

გადიის!

მარია

გადიის!

დარეჯანი

კარგი ნიშანია!

სოფიო

ისევ გადის!

მარია

ისევ გადის!

დარეჯანი

ისევ კარგი ნიშანია!

სოფიო

ბატონო გოდერძი? სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გაწუხებთ... დიახ, ანონსის თაობაზე გირეკავთ! თქვენთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა მინდა... კი? კარგი, მაშინ შეკითხვა №1: ბოლოს რა ფილმი ნახეთ კინოში?... აააა?!! *(კივის და ყურმილს კიდებს!)*

დარეჯანი

არ უწვალთ *(ტელეფონის რეამინირებას ცდილობს კარდიო-მასაჟით და ხელოვნური სუნთქვით)* ეეე, სამსუნგ, დაგვიბრუნდიი!!... და ასე გიჟივით რატომ დაკიდე??

სოფიო

მიპასუხა, "ჯარისკაცის მამა"-ო!

დარეჯანი

ო, არა! ვერ ვიტან ვესტერნს!

მარია

ჰო, მაგრამ... მაინტს უზრდელობაა კურმილის დაკიდება!

სოფიო

იცი რა? მე უკვე ჩემი სიცოცხლის ხუთი წელი დაგვარგე, საკმარისია! მიდი და თავად დარეკე!

მარია

ოკ. შენი ტელეფონით დავურეკავ ამას... შამბალიონ ფალოსაძე!

დარეჯანი

აა?!! შეგიძლია, ეგ ბრენდი გაგვიმეორო??

მარია

შამბალიონ ფალოსაძე

დარეჯანი

ღმერთო ჩემო! შამბალიონ ფალოსაძე! რა პაემანი გამოვაა! რა წყვილია: ბატონი

ფალოსადე და ქალბატონი ტაკო! თუ პატარები გეყოლათ, ერთი შემინახეთ! პატარა ფალოსადე-ტაკო!..

მარია

ჩუმად, გადის!

დარეჯანი

ვერ აიღებს, ხელები დაკავებული აქვს... *(იმიტირებს მასტურბაციას)*

მარია

ალო, შამბალიონ!.. პრივიეეტ!.. ანონსის მარია ვარ... ოო, დიახ... კი... დაგირეკე, რომ რამდენიმე პატარა შეკიტკვა დაგისვა... ტვეში რამდენი გაკვს შემოსავალი?.. ალო?.. ალო?.. დაკიდა!!

დარეჯანი

ვაიიმეეე!! ფალოსადე გყავს ტელეფონზე და ერთადერთი, რასაც თხოვ, ხელფასის ბიულეტენებიაა?!! არ მჯერა, რომ ფალოსადე გამაზე!! თუ ვინმე არ უნდა გაგემაზა, ფალოსადე იყო!

სოფიო

(ნიშნისმოგებით) მართალია! ნამდვილად ტაქტი გაკლია!

კარგი, მე დავურეკავ სხვას! ...მალხაზს!

ალო, მალხაზ, სალამი! სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი. დიახ, განცხადებასთან დაკავშირებით გირეკავთ. რამდენიმე შეკითხვის დასმა მინდოდა!.. გმადლობთ!.. ბოლოს რა ფილმი ნახეთ კინოში? როგორ? "ერთი ნახვით შეყვარება 2"?!*(გოგოებს)* ვგიჟდები, ვგიჟდები ამ ფილმზე! და თქვენი პროფესია, გეთაყვა? ოო, ადვოკატი?!...

დარეჯანი (მღერის)

"სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის..."

მარია

ბევრი მაკუთი ეკნება!!

სოფიო

ჩუ!!

დარეჯანი

(მარიას) ნუ დაგვსტრესე!

სოფიო

უკაცრიელ კუნძულზე რომ მიდიოდეთ და მხოლოდ ერთი რამის წაღება ან ერთი ვინმეს წაყვანა შეგეძლოთ, რას წაიღებდით ან ვის წაიყვანდით?.. *(გოგოებს)* "თქვენ"-ო!

დარეჯანი და მარია

ჩვეენ??

სოფიო

(*გოგოებს*) არააა! მე!!..

და... ფიზიკურად, ეროსს უფრო გავხართ თუ სქელოსს?.. ცხადია, ეროსს? ოჰოო! მგონი, პაემანზეც შევთანხმდებით! პირადად, მე თავისუფალი ვარ კვირის დღეებში, უქმეებზე, დილით, შუადღით, (*ვნებიანად*) საღამოს, ღამით...

(*დარეჯანი სოფიოს ანიშნებს*)

სოფიო

მაპატიეთ, მალხაზ, ერთი წამით!

დარეჯანი

მნიშვნელოვანი შეკითხვა დაგავიწყდა!

მარია

შეკითხვა ნ°3!

დარეჯანი

"თავისუფალი ხარ?"... შეკითხვა, რომელიც გლიჯავს!

სოფიო

ალო, მალხაზ, ერთი შეკითხვის დასმა დამავიწყდა... თქვენ... თავისუფალი ხართ? რაა? დაქორწინებული ხართ?!!..

დარეჯანი

ბაი-ბაააი!!

სოფიო

და ეძებთ ქალს დროის გასატარებლად!?!? ამას დამიხედეთ! ყოჩაღ, თქვენ!.. იცით, რა, მალხაზ, თქვენ ხართ... კრეტინი! (*ყურმილს კიდებს*) აჰა, კარგადაც შევამკე!

დარეჯანი

ნამდვილი მეხისდაცემა იყო მისთვის!

მარია

ზედმეტად კარგი რამ ჩანდა, რომ რეალური კოფილიკო. ხომ გვითხრა დარედჟანმა, ყველა კარგი ტიპი უკვე გასაგებულია!

დარეჯანი

თავისუფალი კარგი ტიპებიც არსებობენ, მაგრამ... მალევე საღებებიან! კარგი ტიპი ფასდაკლებული პროდუქტივითაა, უცებ იყიდება!

მარია

მე სხვას დავურეკავ... ამას: კლაუსი!

დარეჯანი (ივინის)

კლაუსი... ყველა სუპერ გმირი შენ გამოგხმაურებია! ჰოდა, კარგად მისმინე, თუ ეგ კლაუსი გვარად სანტაა, უთხარი, რომ მე საჩუქრად ქურქი და ჩექმები მინდა!

მარია

ავტოატვეტჩიკია... რა ვქნა?

სოფიო

შეტყობინება დაუტოვე, გადმოგირეკავს!

დარეჯანი

უთხარი, რომ ბუხარი არ გვაქვს და რადიატორში გამოძრომა მოუწევს!

მარია

(ტელეფონზე) გამარჯობა, მე მარია ვარ. ალბათ, გახსოვარ, ამ დილას დამირეკე და ავტოატვეტჩიკზე მოხვდი. შეგიძლია, გადმომირეკო? რამდენიმე შეკითხვა მინდა, დაგისვა! აბა, ჩააოოო ჩააოოო ჩააოოო...

დარეჯანი

რა იყო, "ვისკასის" რეკლამაა?!.. კარგი, გავაგრძელოთ!!

სტრობოსკოპი

სოფიო

ერთსაც კი არ უპასუხია ნორმალურად ჩვენს შეკითხვებზე! დარწმუნებული ვარ, მესამე შეკითხვა რომ ამოგველო "თავისუფალი ხარ?", უკვე, სულ მცირე, ათი პაემანი გვექნებოდა!

(ტელეფონი რეკავს: გემის სიგნალის ხმით)

დარეჯანი

რა არის ეს?

მარია

ალო?

დარეჯანი

ვერ ვიტან ამ ახალ იდოტურ ზარებს!

მარია

კლაუსი? *(გოგოებს)* კლაუსი რომელია?

დარეჯანი

კლაუსი არ გახსოვს? ერთ-ერთ პირველს დაურეკე. ჩემი ქურქი და ჩექმები არ დაგავიწყდეს!

მარია

ოო, და, კლაუს...!

სოფიო *(მარიას იმიტირებს)*

...აოო დაა კლიაუსს!!!

მარია

დიაახ, მე გტკოვე გადმორეკვა!!

სოფიო

დიეეახ, მი გთხივე გიდმორეკვეე!!

მარია

დიახ, რამდენიმე შეკიტკვა მინდა, დაგისვა...

სოფიო

დიეეახ, რიმდინიმე შეკიტკვა მენდა, დიგისვეეაა...

დარეჯანი

(შელოცვის სცენა.სოფიოს წყალს ასხამს)

ოოოო, განვედ ჩემი დაქალიდან!!! განვედ მის შიგნეულიდან, რომელსაც დაეუფლეე!

მარია

რაა? შენი საავადმკობოს პერსონალთან იყავი შეხვედრაზე?!!

დარეჯანი

აჰა, ოთხი შეკითხვა დაგრჩა!

მარია

ბოლოს რა ფილმი ნაკე კინოში?.. აჰ, კინოს DVD გირჩევნია საკლში?!..

სოფიო

დარეჯან, DVD რა არის, გამახსენე?

დარეჯანი

D V D? დ-ავიძინე, ვ-იჟიმავე, დ-ავიძინე

მარია

მართლა? ბელმონდოს გავხააარ?!! და შენი საკვარელი ფილმია "უკანასკნელ ამოსუნთქვაზე"?!! რა მშვენიერი კადრია, ბელმონდო რომ რულტან ზის და ამბობს...

დარეჯანი

"თუ არ გიყვართ ზღვა, თუ არ გიყვართ მთა, თუ არ გიყვართ ქალაქი... მაშინ თქვენი ჭკუაც..!" ... ეს კადრი 46-ჯერ ვნახე და ბელმონდოს აზრი ერთხელაც არ შეუცვლია!!

მარია

მოკლედ, როდის შეიდზლება, შევკვდეთ?

სოფიო

მოიცა, მარია! მესამე შეკითხვა შენც დაგავიწყდა! – "თავისუფალი ხარ?"

მარია

თავისუფალი ხარ?.. *(ყვირის აღზნებული)*

დარეჯანი

მდაა... რომც არ იყოს, გათავისუფლდება!!

მარია

რაა? გინდა, რომ მეც გიპასუხო შეკითხვებზე?!!

დარეჯანი

აჰ, შეგიძლია, დაკიდო!

მარია

კი მაგრამ, კლაუს, ძვირფასო, არ მგონია, ქალს შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჭირდებოდეს! გასაგებია? თუმცა ოკ, შენი კათრით, გეტკვი, რომ ოცდაათი ცლის ვარ, ლამაზი... და უფრო ჩემზეა ხოლმე მოთხოვნა, ვიდრე მე ვეძებ სხვებს... გასაგებია? მეტის ცოდნა არც არის საჩირო... ჰო, გინდა ჩემი ნახვა ამ საგამოს??.. *(გოგოებს)* ვგრძნობ, რომ მოვწონვარ, მოვწონვარ!!!.. ერთი წამით, ჩემს განრიგს გადავკედავ...

დარეჯანი

ჰო, გადახედე, მგონი მეხანძრეებით სავსე ერთი მანქანა უკვე წამოვიდა შენს სანახავად!

მარია

(დარეჯანს) ეგ აკტიურ ქალზე მიაწინებებს!..

მოკლედ, მისმინე, კლაუს. მგონი გაგიმარტლა, საგამოს ერთი შეკვედრა მკონდა და აკლაკან გაუკმდა!! სად შევკვდეთ?.. ჩემტან!

სოფიო

ო, არა!! გიჟია! პაემანმა რომ ცუდად ჩაიაროს, ჩვენი მისამართი ეცოდინება!

დარეჯანი

მართალია, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. შეგახსენებთ, რომ აქ მხოლოდ ქალები ვცხოვრობთ! ძალიან ფაქიზები ვართ! *(მინერალური წყლის ბოთლს სრესს)* რესტორანში დაუნიშნე, როგორც ხდება ხოლმე!

მარია

რესტორანში რომ შევხვდეთ, როგორც ხდება ხოლმე?.. ო, არა, ვეგეტარიანულში არა.

დარეჯანი

(ვნებიანად) აჰაა, ეგრევე კიტრი უნდა, გაჭამოს!

მარია

ფრანგულში შევკვდეთ, ფრანგულში, უუიიი... *(ვნებიანად)* ძაან მომინდა ტარტარის სოუსიიი!!

დარეჯანი

ოო, ტარტარის სოუსი კი ბლომად იქნება, იცოცხლე!

მარია

კარგი, ვიწერ მისამართს... წვეთოვანის 69, ოკ, ტაქსით მოვალ. კლაუს, ერთი სული მაქვს, როდის გნაკავ! დროებიიიტ!

დარეჯანი

შეხვედრის დრო არ დაგითქვაააამითთ!!

მარია

ო, ბოჟე!

(მარიას ტელეფონი ხელახლა რეკავს)

დარეჯანი

აჰა, ხელახლა გირეკავს ეგ ბრიყვი!

მარია

კლაუუსუს??? ჰო, დრო არ დაგვიტკვამს! რა სულელები ვართ... ოკ, 20სთ-ზე, კარგი... დიახ ემოციების ბრალია! ოკ, ბედნიერი შობა-აკალი ცელი! *(ყურმილს კიდებს)*. რა ვუთკარი?! - ბედნიერი შობა-აკალი ცელი-მეთქი??

დარეჯანი

კი, კი! ნამძისხის ბურთულებიც მანდ იყო და გირლანდებიც!..

სოფიო

ემოციების ბრალია!

დარეჯანი

ამასობაში, ამან პაემანი გაჩითა!!.. არ მინდა, აგაჩქარო, მაგრამ ხუთი საათილა დაგრჩა მოსამზადებლად! მაკიაჟი გაქვს მოსასწრები!

მარია

კარგი რა, დარედჟან, მე ბევრი არაპერი მჩირდება იმისტვის, რომ ლამაზად გამოვიკურებოდე!

დარეჯანი

ოოოოჰ! ბარემ მითხარი, რომ მე მახინჯი ვარ!!

მარია

არა, არა, რას ამბობ, ეგ სულ არ მიგულისკმია, გეფიცები... მინდოდა მეტკვა, რომ შენ, შენ, შენ...

დარეჯანი

აბა, აბა, რამე მოიფიქრე! თორემ მოგამზადე ახლა პაემნისთვის!!

მარია

შენ, შენ, ... შენ... ხარ განსკვავებული! *(გადის აჩქარებული ნაბიჯით)*

დარეჯანი

რაო? განსხვავებული ხარო?!.. ჰე ჰე ჰე...

(სოფიოს) აჰა, ჩვენ ორნი, სახლში გამოკეტილები... მაგრამ არ იდარდო! სადამო წინასწარ გავთვალე, DVD ვიყიდე! თან იმ ტიპმა, მაღაზიაში - ქალბატონო, ფილმი, რომელიც თქვენ აარჩიეთ, სუპერ ტოპ განწყობას ქმნისო!

სოფიო

მართლა? რა ფილმია??

დარეჯანი

საშინელებათა ჟანრია! "ეგზორცისტი2"!!

სოფიო

ო, არა!.. მე ისევ რომელიმეს დავურეკავ და მასთან გავერთობი!! სექსი ბევრი ფილოსოფიის გარეშე!!

დარეჯანი

ცხადია, ეგ ჯობია, ვიდრე პირიქით: ფილოსოფია სექსის გარეშე...

სოფიო

ალო, მაღაზია? ისევ სალამი... ისევ სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი ვარ... მოკლედ,

წელან რომ პერიოანი და დაკომპლექსებული დამა გელაპარაკათ, ჟიმაობა რომ არ უნდოდა... ჰოდა, აზრი შეიცვალა!.. ოოო, არა, ან ამ საღამოს ან არასდროს! კარგი? დრო?... იყოს 20სთ. რუსთაველზე, მეტროს წინ! მალხაზ, შენი ჰოროსკოპი არ მინახავს, მაგრამ მგონი დღეს გიმართლებს!! ოკ, გკოცნი... გკოცნი! ვააააუუუუ! *(კიდებს ყურმილს)*

დარეჯანი

რა ჭამე ასეთი!! ვერ ვიჯერებ...

სოფიო

ვერც მე...

დარეჯანი

ასე, ვიღაც უცნობს უნდა ჩაუგორდე?!! რა საზიზღრობაა!!

სოფიო

დიახაც, ეგრე! აბა, გამოვეწყო საბრძოლო ფორმაში!

დარეჯანი

ჩაფხუტი უნდა დაიხურო?

სოფიო

არა... მაქმანებიანი საცვლები! აფრენენ მაგაზე!! *(გადის)*

დარეჯანი

ორივეს ძან გაწუხებთ, მე როგორ გავატარებ საღამოს! ძან ნუ იდარდებთ!!! "ეზორცისტის" მარტო ნახვა უფრო სახალისოა!.. ან რამე კარგ წიგნს წავიკითხავ... მაშ! მეცხრე წიგნი კი გამომივა ამ კვირაში. არადა სამშაბათია! რა წავიკითხო, რომ გუნება გამომიკეთოს?... რამე მხიარული... *(კარადიდან იღებს წიგნს)* "მარტოობის ასი წელიწადი"...!

მესამე მოქმედების დასასრული

მოქმედება IV

(დარეჯანი სცენაზეა. მარია შემოდის ძალიან სექსუალურად ჩაცმული)

დარეჯანი

ოოოო, ვიღაცას ტუზი დაეცა!!

მარია

მაკიაჟი ბევრი ხომ არ მომივიდა? *(ხელს ტაკოზე იტყაპუნებს)*

დარეჯანი

არა, მანდ ნამდვილად არა!.. მისმინე, როგორც კი ცოტა ფული გექნება, ქვედაც იყიდე!.. ერთხელ ხომ მათხოვებ? ცალ ფეხზე ამოვიცვამ!.. არა, არა, ძაან სექსი ხარ!

(სოფიო შემოდის საღამოს კაბაში და აწეწილთმებიანი ბროშინგით)

სოფიო

აბა, როგორ გამოვიყურები?

დარეჯანი

რომ დაიკარგო, იოლად გიპოვიან!.. ამ კაბისთვის, ფარდები დაჭერი?? ბინის პატრონი გაგვიხურებს!.. არა, ვარცხნილობა სუპერ! რა იყო, რვაფეხამ გაგიკეთა ბროშინგი??

მარია

ოოო, მე დხალიან მომწონკარ! ლამაზი კარ!

სოფიო

მადლობა! შენც ლამაზი ხარ!

მარია

აბა ჰე, გავედი, პაემანზე მელოდებიან!.. და შენ, დარედჟან, შენ არ გადიკარ?

დარეჯანი

არა! მე სახლს ვდარაჟობ!

სოფიო

მეც გავედი!

დარეჯანი

ჩემზე იფიქრეთ! - საბრალოზე, რომელმაც უნდა მოიწყინოს და მარტო უყუროს

"ეზორცისტს!"

სოფიო და მარია

გკოცნიით!!

(სოფიო და მარია გასვლას აპირებენ და ამ დროს, სოფიოს ტელეფონი რეკავს)

სოფიო

სოფიო ვახვახაშვილი-ჯამბაკურიანი გისმენთ?.. ჰო, მალხაზ, მოვდივარ, მხურვალე, როგორც ბარბექიუ!! ...რაა? *(უკვან შემოდის)* შენი ცოლი დაბრუნდაა??

დარეჯანი

ვაი, ვაი, ვაიიი... რა ბარბექიუს უწევს ჩაქრობაა!!

სოფიო (შემცბარი)

აჰაა... ჰმმ... არა უშავს... მალხაზ... მე მაინც... მაინც სუპერ სალამოს ვატარებ... *(ტელეფონს უწვდის დარეჯანს, რომ მან სალამოს ეფექტი შექმნას)*

დარეჯანი (ბლერის)

"ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსაი გევხაროო... ჰარალალი, ჰარალალო... შენს სანახავად მოვსულვარ, სხვა საქმე არა მქონია...". მივესალმით დიჯეი მახოს! მივესალმით "კარფურის" მთელ კოლექტიიიივს!..

სოფიო

...ალო, მალხაზ? ისა... უნდა დავკიდო, გვირაბიაა! *(კიდებს)*

დარეჯანი

გვირაბი?... ბევრი სალამო იცი, გვირაბში რომ შედის??!

მარია

მოკლედ, გოგოებო, მე უნდა ტსავიდე, მაგვიანდება, ჩააოოო!

დარეჯანი

ამას რა ენადვლება, სულ უმართლებს!

(მარიას ტელეფონი რეკავს)

დარეჯანი

ააჰჰ! მგონი, ეგეც საეჭვოა!

მარია

ალო, კლაუს!.. ა? რაა? როგორ, ვერ მოკვალ?! ახლა არ მითკრა, რომ ფეკი მოიტეკე... რაა?? კი, მარტლა ფეკი მოიტეკე???. ბოჟე... ჰჰმმმ... არა უშავს!.. მე მაინც სუპერ საგამო მელის მეგობრებთან ერთად... გვირაბში!! *(კიდებს)*

დარეჯანი

მოდი, დაჯექი, ტელევიზორს აქედან უკეთ დაინახავ!.. გოგოებო, ძაან მაგრად გაცვიათ... ტელევიზორის საყურებლად! *(იცინის)*

(ტელეფონი რეკავს)

დარეჯანი

ალოო! აჰ, განცხადება? ახლავე დაგალაპარაკებთ. *(გოგოებს აწვდის ყურმილს)* ისევ თქვენ გირეკავენ!

სოფიო

დარეჯან, შენი ტელეფონია! შენ გირეკავენ!

დარეჯანი

აჰ, ჩემი?? როგორ, მე მირეკავენ??

სოფიო

დიახაც!!

დარეჯანი

ალოოო!! დიახ? მოიცადეთ, მოიცადეთ, რომელ ანონსზე მელაპარაკებით?.. "ლამაზი და მაღალი შავგვრემანი ქალი..."...კი, მე ვარ!.. მისმინეთ, ბატონო, ძალიან საინტერესო პიროვნება ჩანხართ, მაგრამ... გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ მაგ ანონსში ცოტა გადავაჭარბე... როგორ გითხრათ... "ლამაზი" არ უნდა ჩამეწერა... მე... ზვიგენს უფრო ვგავარ, ვიდრე ქალს!.. რაა? მეთევზე ხართ??.. ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძაან მსხვილი კაბელი დაგჭირდებათ!! არა, ცუდი მოდელის ზვიგენი არ არის, მაგრამ მაინც არ ვუშვებ ბაზარზე! როგოოოო? მაინც დაინტერესებული ხაართ??.. თქვენი ფანტასმააა?? მოიცადეთ, ნუ ღელავთ! მითხარით თქვენ შესახებაც! სიმაღლე 2მ11?? 148 კილო??!! ოოო, ახლა კი ჩემს სტილში ზიხართ! და დანარჩენი? უწვერო? გრძელი წითელი თმებით??!! და... რატომ ხართ ასე?.. აჰაა, ატომურ სადგურში მუშაობთ!!

(გოგოებს) ეგეთის პოვნა არ გინდოდა?!

(ისევ ტელეფონში) ჩემთან შეხვედრა გინდათ? ჰო, დასანანი იქნება, რომ არ შევხვდეთ! კარგი, მომავალ კვირას, მაგალითად?.. ამ საღამოს?? მოიცადეთ, ჩემს განრიგს გადავხედავ... კი, მცალია! კარგი, 20სთ-ზე! სად? რუსთაველზე? ო, არა, დიდ პროსპექტებს არ ვარ მიჩვეული... მე მარტო ჩიხებში დავდივარ! კარგი, იყოს აბანოს ჩიხი... რაა? როგორ ვიცნოთ ერთმანეთი?? რა ცნობა გვინდა, მაპატიეთ მაგრამ, ჩიხში გაჭედილი აყლაყუდა რადიაციამიღებული იდიოტი, თქვენ გარდა, კიდე მეორე თუ იქნა, ჰელოუინი ყოფილა! აჰ, მე როგორ მიცნობთ? მე, ხალხიც რომ იყოს, მაინც გამომარჩევთ! როგორ გითხრათ... ინგლისის დედოფალსა და ჟერარ დეპარდიეს შორის ვარ! მაინც უფრო დეპარდიე!!

(გოგოებს) ბარბექიუსავითაა გახურებული! იცით, რას მეუბნება: "მოდი ახლავე, ავთენტური მინდიხარო"!!!. ოოო, გაწბილებული ნამდვილად არ დარჩება!.. არა, არა, ვერ წავალ, ასე ვერ შევხვდები... წინასწარ მომზადება მჭირდება. წვივები მაინც გავიპარსო!

ასე, კეფას გავუღიზიანებ!.. *(სოფიო და მარია იცინიან),*
(ისევ ტელეფონში) დიახ, სტუმრები მყავს... ჰო, იცინიან, რადგან მე ვთქვი, წელს ხვნა-
თესვაში პაუზა მაქვს-მეთქი!.. კარგი, უცებ მოვემზადები, ჰერბიციდს გადავისხამ და
მოვდივარ!.. ისა და რა გქვიათ? უშანგი? მე - დარეჯანი! ძან კმაყოფილი ვარ! აბა,
დროებიიიით... *(გადახედავს მოწყენილ სოფიოს და მარიას)* უშანგი, უშანგი! მოიცა,
მოიცა!.. ისა და... სხვა დღეს რომ შევხვდეთ?.. ჩემ გამო არა... დაქალები მყავს სტუმრად
და... მგონი, ამ საღამოს, მათ ძალიან ვჭირდები... ოოო!! რა გაღრიალეებს!! ამას
დამიხედეთ! 33 წელია არ გინახვარ და ახლა როგორმე ერთ კვირასაც მოითმენ!! ჩაო!
(კიდებს ყურმილს).
(გოგოებს) ნახავთ, რა მაგარია "ეზორცისტი" სამში!!! ხალისია!! *(სამივენი*
სასოწარკვეთილ სახეს იღებენ) ჯ ა ნ დ ა ბ ა!!!

ფარდა